**მობილობის წესით 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან მობილობის მსურველმა კანდიდატებმა:**

ა) უნდა გაიარონ ელექტრონული რეგისტრაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე https://students.eqe.ge ;

ბ) სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს მობილობის წესით შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმში" მედიცინის ფაკულტეტზე ჩარიცხვის უფლებას 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის, შიდა საუნივერსიტეტო რეგისტრაცია უნდა გაიაროს 2020 წლის 2-4 სექტემბრის ჩათვლით 18:00 საათამდე;

**მობილობის მსურველმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) განცხადება რექტორის სახელზე (განცხადება ივსება ადგილზე);

ბ) ამონაწერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან;

გ) სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);

დ)გავლილი საგნების სილაბუსები (უნივერსიტეტის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში);

ე) ცნობა გაცემული შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სტუდენტის სტატუსის, სასწავლო პროგრამის დასახელების და მის მიმართ გამოცემული სამართლებრივი აქტების მითითებით);

ვ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტი, სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ზ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ნოტარიულად დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის ასლი;

თ) 4(ოთხი) ცალი ფოტოსურათი 3X4 და ელექტრონული ვერსია, ელექტრონულ მატარებელზე (CD დისკი);

ი) გრანტის არსებობის შემთხვევაში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი, რომელშიც მითითებული იქნება გრანტისა და სწავლის საფასურის ოდენობის შესახებ ინფორმაცია;

კ) ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ლ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ბეჭდით.